



საქართველო

ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი

საქართველოს ინოვაციებისა და  
ტექნოლოგიების სააგენტო  
(GITA)

ფართოზოლოვანი ინტერნეტი  
განვითარებისთვის (BFD)  
პროგრამის სახელმძღვანელო

წინამდებარე რედაქცია მიღებულია 2017  
წლის 31 ოქტომბერს

## სარჩევი

	2
აბრევიატურები და აკრონიმები	4
შესავალი	5
პროგრამის სახელმძღვანელოს დანიშნულება	5
1. პროგრამის აღწერა	6
1.1 პროგრამის საფუძველი	6
1.1.1 პროგრამის მიზნები	6
1.1.2 სამიზნე აუდიტორია (ბენეფიციარები)	7
1.2 ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერა შინამეურნეობებისათვის	7
1.2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები შინამეურნეობებისათვის	7
1.2.2 მხარდაჭერის ფორმა შინამეურნეობებისათვის	10
1.2.3 ინტერნეტზე წვდომა (შინამეურნეობებისათვის)	11
1.3 პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	13
1.3.1 საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	14
1.3.2 მხარდაჭერის ფორმა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	16
1.3.3 ინტერნეტზე წვდომა (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის)	17
1.3.4 მხარდაჭერა ელექტრონული კომერციის უნარების განვითარებაში	18
1.4. პროგრამის განხორციელება	19
1.4.1 საცდელი (საპილოტე) ფაზა	19
1.4.2 სრულმასშტაბიანი ფაზა	21

2. განაცხადის შეტანის პროცედურა	21
2.1. განაცხადის ფორმა	22
2.1.1 განაცხადის ფორმა შინამეურნეობებისათვის	22
2.1.2 განაცხადის ფორმა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	24
3. პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეები	25
3.1. ინტერნეტ სერვის პროვაიდერები	26
4. ცნობიერების ამაღლების კამპანია	28
5. პროგრამის ადმინისტრირება	29
5.1 ფუნქციები და მოვალეობები	29
5.2 პროგრამის მართვა	30
5.3 ფინანსური მართვის პროცესი	31
5.4 ორგანიზაციული სტრუქტურა	32
დანართები	33

## აბრევიატურები და აკრონიმები

BfD	ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის
GENIE	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი
GITA	საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
ECD	ელექტრონული კომერციის უნარების განვითარება
IBRD	რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი
IC	ინოვაციის ცენტრი
QR კოდი	სწრაფი რეაგირების კოდი
GNCC	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## შესავალი

1. პროგრამა ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BfD) წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ახორციელებს. პროექტის GENIE მთავარ მიზანია საქართველოში მოღვაწე ფირმებისა და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის გაზრდა და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. GENIE პროექტი ფინანსდება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) კრედიტით. კრედიტის თანხა 40 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

### პროგრამის სახელმძღვანელოს დანიშნულება

2. წინამდებარე BfD პროგრამის სახელმძღვანელოს (შემდგომში 'სახელმძღვანელო') მიზანს წარმოადგენს იმ პროცედურების განსაზღვრა, რომელიც უნდა იქნას დაცული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის (GITA-ს), პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეების, მონაწილეების და ბენეფიციარების მიერ, პროგრამის განხორციელების პროცესში. მოცემული სახელმძღვანელო შეასრულებს დირექტივების შემცველი, მისათითებელი დოკუმენტის ფუნქციას, რომელშიც აღწერილი იქნება პროგრამის განხორციელების თითოეული სტადიის ძირითადი საფეხურები და მოთხოვნები. იგი შემუშავებულია საქართველოს და IBRD-ს შორის GENIE პროექტისათვის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად (იხ. დანართი 2, C განყოფილება).
3. სახელმძღვანელო მოიცავს: (i) BfD პროგრამის და მისი კომპონენტების დეტალურ აღწერას; (ii) სამიზნე აუდიტორიას (ბენეფიციარებს) (iii) საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს (iv) განაცხადის შეტანის პროცედურებს; (iv) ფუნქცია-მოვალეობებს და მოთხოვნებს BfD პროგრამაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების/მონაწილეებისათვის; (v) პროგრამის განხორციელების ღონისძიებებს, რაც შესაბამის ტრენინგებსა და BfD-ის ფარგლებში წარმოებულ გადახდებს აერთიანებს; (vi) პროგრამის მართვასა და ცნობიერების ამაღლების კამპანიას; და (vii) ფინანსური მართვის პროცესებს;
4. წინამდებარე სახელმძღვანელო პერიოდულად გადაიხედება GITA-ს თავმჯდომარის ან ოფიციალური წარმომადგენლის ზედამხედველობის ქვეშ, რასაც პროგრამის განხორციელების პროცესში შეტანილი შესწორებების ასახვისათვის GITA სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც განახორციელებს, პროექტის კოორდინატორის, ან BfD პროგრამის

კოორდინატორის მოთხოვნისამებრ. სახელმძღვანელოში შესატანი ნებისმიერი ცვლილება წერილობით უნდა იქნას შეთანხმებული GITA-სა და მსოფლიო ბანკს შორის.

## 1. პროგრამის აღწერა

### 1.1 პროგრამის საფუძველი

5. საყოველთაო წვდომა ფართოზოლოვან ინტერნეტზე, მისი ხელმისაწვდომობა და ხარისხიანობა (დანართი A) ინოვაციურ და მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს. მაღალსიჩქარიანი, ანუ ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირი ფიზიკურ პირებსა და ბიზნესებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტურად და გამჭვირვალედ დაუკავშირდნენ ბაზრებსა და რესურსებს, გაიუმჯობესონ სხვადასხვა ქვეყნებთან ვაჭრობისა და ცოდნის დაუფლების შესაძლებლობა.
6. აღიარებს რა ამ პოტენციალს და ფართოზოლოვანი ინტერნეტის, როგორც ინოვაციურობის მამოძრავებლის როლს, საქართველოს მთავრობა ცდილობს გააუმჯობესოს ინტერნეტის ინფრასტრუქტურა და მისი გამოყენება ქვეყნის მასშტაბით. ამ მიმართულებით, იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სასოფლო და არასაკმარისი მომსახურების მქონე არეალებზე და იმ პირებზე, რომლებიც შესაძლოა ციფრული ეკონომიკიდან ჩამორჩენის რისკს ექვემდებარებოდნენ (დანართი L). შინამეურნეობების და საწარმოების მიერ უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისების მხარდაჭერის მეშვეობით, BfD პროგრამა შეძლებისდაგვარად მეტ შინამეურნეობასა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს ჩართავს ინვაციურ და მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებულ ციფრულ ეკონომიკაში.

#### 1.1.1. პროგრამის მიზნები

7. BfD პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი შინამეურნეობების (შემდგომში შინამეურნეობების) და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (შემდგომში საწარმოების) მიერ ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების და მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით სასოფლო ტიპის დასახლებებზე, რაც სხვა სიკეთებთან ერთად გულისხმობს BfD სუბსიდიებისა და შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფას. ტრენინგი შინამეურნეობებისთვის ფოკუსირებული იქნება ციფრულ წიგნიერებაზე. ტრენინგი საწარმოებისათვის კი მიმართული იქნება ელექტრონულ ბიზნესში ჩართვისაკენ, რაც აერთიანებს

ელექტრონულ კომერციას, სოციალურ ქსელებს, ინტერნეტ-მარკეტინგს და სახელმწიფო ელექტრონულ სერვისებს.

8. BfD პროგრამის მიზანია დაეხმაროს თბილისის გარეთ მცხოვრებ 33,000-დან 60,000-მდე შინამეურნეობას (გამოყოფილია 10 მილიონ ლარამდე დაფინანსება) და 3,000-დან 10,000-მდე საწარმოს (გამოყოფილია 10 მილიონ ლარამდე დაფინანსება), დააკავშიროს ისინი ფართოზოლოვან ინტერნეტთან, უზრუნველყოს მათი დატრენინგება ციფრულ უნარებში და ამასთანავე დაეხმაროს საწარმოებს ელექტრონული კომერციისთვის საჭირო უნარების ათვისებაში. ერთი შინამეურნეობა და ერთი საწარმო მხოლოდ ერთხელ ისარგებლებს BfD პროგრამით გათვალსწინებული დახმარებით.

### 1.1.2 სამიზნე აუდიტორია (ბენეფიციარები)

9. პროგრამის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ის ბენეფიციარები, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის ფარგლებში დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ესენი არიან შინამეურნეობები და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ თბილისის გარეთ არსებულ სასოფლო (პროგრამის ფოკუს ჯგუფი) და საქალაქო ტიპის დასახლებებში. BfD პროგრამის თანახმად, სასოფლო ტიპის დასახლებად განსაზღვრულია სოფლები და ადმინისტრაციული ერთეულები, ხოლო საქალაქო ტიპის დასახლებად - საქართველოს მუნიციპალიტეტების დიდი და პატარა ქალაქები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შედარებით ღარიბ და სოციალურად დაუცველ შინამეურნეობებს. შესაბამისად, საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია იმგვარად, რომ მათ პროგრამაზე წვდომის და მასში ჩართვის მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცეთ.

## 1.2 ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის პროგრამით გათვალსწინებული მხარდაჭერა შინამეურნეობებისათვის

### 1.2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები შინამეურნეობებისათვის

10. 2016 წლის მონაცემებით, 600,000-ზე მეტ შინამეურნეობას თავის მისამართზე არ ჰქონდა წვდომა ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე (L დანართი). GENIE პროექტის დასრულებამდე (ეს თარიღი ამჟამად წარმოადგენს 2021 წლის აპრილს), მიმდინარე პროგრამა დაეხმარება დაახლოებით 60,000 შინამეურნეობას. ვაუჩერის პროგრამისათვის შემუშავებული საკვალიფიკაციო კრიტერიუმები ქვემოთ არის განსაზღვრული.
11. ინტერნეტის ინსტალაციის ფასები განსხვავებულია და დამოკიდებულია ტექნოლოგიაზე. მაგალითად, ოპტიკურ ბოჭკოვანი და ფიქსირებული ინტერნეტის ინსტალაციის საფასური საშუალოდ 50-100 ლარს შეადგენს,

მაგრამ ეს ტექნოლოგია ფართოდ ხელმისაწვდომი არ არის საქართველოს სოფლებში. Wi-Fi/LTE ინსტალაციის ფასი კი 150-200 ლარამდე მერყეობს და სასოფლო შინამეურნეობებში უმეტესწილად სწორედ იგი გამოიყენება ინტერნეტ კავშირისთვის. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ სერვის პროვაიდერები სხვადასხვა რეგიონში ინტერნეტ ინსტალაციის და შემდგომი მომსახურების სხვადასხვა პაკეტებს გვთავაზობენ.

12. საქართველოს მთავრობამ 10 მილიონამდე ლარი გამოყო შინამეურნეობებისათვის, რათა ხელი შეუწყოს მათ ჩართვას ფართოზოლოვან ინტერნეტში და გადასცეს საჭირო ცოდნა ციფრულ წიგნიერებაში (როგორ გამოიყენება ინტერნეტი, კომპიუტერი, საოფისე პროგრამები).
13. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზის თანახმად, 2016 წლის მონაცემებით, სოციალური დახმარების პროგრამაში 300,000-ზე მეტი ოჯახი იყო რეგისტრირებული, რომლებიც სახელმწიფოსგან ფინანსურ მხარაჭერას ითხოვდნენ. მათი 80% რეგიონებიდანაა. რეგისტრირებული ოჯახების თითქმის 35% ყოველთვიურ ფულად დახმარებას იღებს, რაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებულ ქულებზე არის დამოკიდებული (ის ოჯახები, რომელთაც 65,000 ქულაზე ნაკლები აქვთ, სოციალური მომსახურების სააგენტოსგან ფინანსურ დახმარებას იღებენ). 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს რეგიონებში, 111,968 შინამეურნეობა იღებდა ამგვარ მხარდაჭერას (დანართი B). თუმცა, არსებობს ბევრი ოჯახი, რომელიც არც ამ ჯგუფში არის გაერთიანებული და არც საკმარისი თანხა გააჩნია ინტერნეტის ინსტალაციისათვის, იმ პირობებში როცა ტარიფი 150-200 ლარის ფარგლებში მერყეობს.
14. BfD პროგრამის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები იმ შინამეურნეობებზე ვრცელდება, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტომ 100,000 ან ნაკლები ქულა მიანიჭა. შესაბამისად, BfD პროგრამა უპირველეს ყოვლისა დაეხმარება შედარებით ღარიბ და სოციალურად დაუცველ შინამეურნეობებს დაეხმარება და უზრუნველყოფს მათ ფართოზოლოვანი ინტერნეტის ინსტალაციის სუბსიდიებით, ე.წ. ვაუჩერებით. აღნიშნული მხარდაჭერა იმ შინამეურნეობებისათვის იქნება გამიზნული, რომლებიც სხვა გზით ვერ გასწვდებოდნენ ინტერნეტ მომსახურების (პირველადი ინსტალაციის) ხარჯის დაფარვას.
15. განხორციელების პროცესის დასარეგულირებლად, BfD პროგრამის ფარგლებში, მასშტაბის თანდათანობით გაზრდამდე საცდელი, ე.წ. საპილოტე ეტაპი განხორციელდება (იხ. სახელმძღვანელოს 1.4 პუნქტი). საცდელ ეტაპზე გამოიცდება საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, “A1”-ის ჩათვლით (100,000 ან ნაკლები ქულა), და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი ცვლილება. პირობითად, საჭირო მაქსიმალური 100,000 ქულა შესაძლოა შემცირდეს, იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა დაგეგმილზე უფრო დიდი აღმოჩნდება, ან პირიქით - საჭირო მაქსიმალური 100,000 ქულა



შესაძლოა გაიზარდოს, იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა დაგეგმილზე უფრო ნაკლები აღმოჩნდება. ეს უფრო მეტ პოტენციურ შინამეურნეობას მისცემს BfD პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობას.

16. შინამეურნეობებისათვის ინტერნეტ კავშირის და ინსტალაციის ხარჯების სუბსიდირების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები ორ ჯგუფად იყოფა: (A) სოციალური კრიტერიუმები და (B) ტექნიკური და ტექნოლოგიური მოთხოვნები.

Nr.	კრიტერიუმები	პირობა	წყარო
A1	სოციალურად დაუცველი შინამეურნეობა	BfD პროგრამის ფარგლებში განაცხადის შეტანის მომენტში, რეგისტრირებული უნდა იყოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და მინიჭებული უნდა ჰქონდეს 100,000 ან ნაკლები ქულა	სოციალური მომსახურების სააგენტო
A2	საქართველოს რეგიონის მაცხოვრებელი	შინამეურნეობის მისამართი რეგისტრირებული უნდა იყოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და იგი უნდა ბინადრობდეს თბილისს გარეთ, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში	სოციალური მომსახურების სააგენტო
B1	BfD პროგრამაზე რეგისტრაცია და ციფრული წიგნიერების წარმატებით დაუფლება	შინამეურნეობა უნდა აკმაყოფილებდეს A1, A2 კრიტერიუმებს და გააჩნდეს საკმარისი ცოდნა ინტერნეტის და კომპიუტერის გამოსაყენებლად	GITA

B2	ინტერნეტის ინსტალაციის შესაძლებლობა შინამეურნეობის მისამართზე	ტექნიკურად შესაძლებელი უნდა იყოს ფართოზოლოვანი ინტერნეტის ინსტალაცია შინამეურნეობის მისამართზე. სახეზე უნდა იყოს მინიმუმ ერთი მოქმედი ინტერნეტ სერვის პროვაიდერი (რეგისტრირებული კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში), რომელსაც ექნება სურვილი და შესაძლებლობა უზრუნველყოს ეს მომსახურება.	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, BfD პორტალი
----	---	---	--

**ცხრილი 1.1**

17. ყველა სოციალური [A1-A2] ტექნიკური [B1] და ტექნოლოგიური [B2] კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული შინამეურნეობა BfD პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვის შინამეურნეობად განისაზღვრება [შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობები ვერ აკმაყოფილებენ B2 ტექნოლოგიურ მოთხოვნას, მათ შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი „ჯგუფური მოთხოვნის პროგრამის“ მეშვეობით – იხ. დანართი H.].

**1.2.2 მხარდაჭერის ფორმა შინამეურნეობებისთვის**


- 18. BfD პროგრამის მიერ უზრუნველყოფილი სარგებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვის შინამეურნეობებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ ციფრული წიგნიერების უნარების დაუფლების შესაძლებლობა, და მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე ისარგებლონ ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის ვაუჩერით და ინტერნეტის უფასო ინსტალაციის მომსახურებით (შემდგომში ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერი ან 'ინტერნეტ ვაუჩერი').
- 19. ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერის თანხა თითოეული შინამეურნეობისათვის შეადგენს 150 ლარს.
- 20. BfD პროგრამაში მონაწილე თითოეულმა შინამეურნეობამ წარმატებით უნდა გაიაროს ციფრული წიგნიერების ტრენინგ კურსი და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება უფლებამოსილი მიიღოს ფართოზოლოვანი ინტერნეტ

მომსახურების ერთჯერადი ვაუჩერი, ინტერნეტის პირველადი ინსტალაციისთვის (დანართი N).

21. ყველა ვაუჩერს თითოეული ბენეფიციარისათვის მინიჭებული ექნება უნიკალური QR (სწრაფი რეაგირების) კოდი (ციფრების რთული კომბინაციით). ამ კოდის მინიჭება ავტომატურად მოხდება GITA-ის მიერ დაგეგმილი BfD პორტალის მეშვეობით, მისი გამოყენება კი ერთჯერადად იქნება შესაძლებელი (დანართი C).
22. თითოეული ბენეფიციარი (ერთი შინამეურნეობის ერთი ოფიციალური წარმომადგენელი) გაივლის ტრენინგს ციფრულ წიგნიერებაში, რაც BfD პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ვაუჩერის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მათ, ვისაც ვაუჩერის მიღების სურვილი აქვთ, ტრენინგ კურსის დასრულების შემდეგ უნდა ჩააბარონ შესაბამისი ტესტები ელექტრონულად. ტრენინგების გავლა შესაძლებელია როგორც Online (დისტანციურად), ასევე offline (ფიზიკურად), შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირების შემდგომ, რაც დეტალურად არის მითითებული G დანართში; offline ტრენინგი გავრცელდება იმ შინამეურნეობებზე, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა online ტრენინგის გასაგვლად, თუმცა ტესტირება განხორციელდება მხოლოდ online რეჟიმში. online ტრენინგები ციფრულ წიგნიერებაში ხელმისაწვდომი იქნება საქართველოში მცხოვრები ყველა შინამეურნეობისათვის და გავრცელდება იმ შინამეურნეობებზეც, რომელთაც ექნებათ მხოლოდ ტრენინგის გავლის სურვილი (ვაუჩერის მიღების გარეშე).

### 1.2.3 ინტერნეტზე წვდომა (შინამეურნეობებისათვის)

23. ფართოზოლოვანი ინტერნეტის განსაზღვრება BfD პროგრამისათვის მოცემული A დანართში, თუმცა შესაძლოა საჭიროებისამებრ დაექვემდებაროს ცვლილებას. მაგალითად, შეიძლება შეიცვალოს ტექნოლოგია, ახალი სისტემებისათვის საჭირო გახდეს მეტი სიჩქარე (მბ/წმ), გაიზარდოს ან შემცირდეს მოთხოვნა და ა.შ.
24. გაცემული ვაუჩერების საფუძველზე განხორციელებული გადახდები, GITA-ს მიერ, ქვემოთ მოყვანილი პროცესის შესაბამისად იქნება ორგანიზებული:



## შენიშვნა:

<sup>1</sup> მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი შინამეურნეობა არის უფლებამოსილი GITA-ს მეშვეობით გაუგზავნოს მოთხოვნა ინტერნეტ სერვის პროვაიდერს. ის შინამეურნეობები, რომლებსაც სახლის პირობებში არ გააჩნიათ წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერზე, უფლებამოსილნი არიან ეწვიონ ინოვაციის ცენტრებს, საზოგადოებრივ ცენტრებს და სოფლის ბიბლიოთეკებს და გამოიყენონ ადგილობრივი საშუალებები GITA-სათვის მოთხოვნების ონლაინ რეჟიმში გასაგზავნად.

<sup>2</sup> ინტერნეტ პროვაიდერს აქვს 24 საათი შინამეურნეობის მოთხოვნაზე რეაგირებისათვის. არსებობს პასუხის 3 განსხვავებული ვარიანტი: a) დიახ, b) არა, c) საჭიროებს დამატებით მოკვლევას. დადებითი პასუხის შემდეგ, ინტერნეტ პროვაიდერს 10 დღე აქვს შინამეურნეობის მისამართზე ინტერნეტის ინსტალაციისათვის. პასუხის „საჭიროებს დამატებით მოკვლევას“ შემდეგ, ინტერნეტ პროვაიდერს 10 დღე აქვს მოკვლევის განსახორციელებლად და მასზე რეაგირების მოსახდენად, რაც მდგომარეობს შემდეგი პასუხის დაფიქსირებაში: a) დიახ b) არა.

<sup>3</sup> შინამეურნეობის საცხოვრებელ მისამართს წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებული მისამართი. მომწოდებელი მომსახურებას უზრუნველყოფს მხოლოდ აღნიშნულ მისამართზე.

<sup>4</sup> ინტერნეტ პროვაიდერსა და შინამეურნეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: მომწოდებლის (ინტერნეტ პროვაიდერის) იურიდიულ სახელწოდებას, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდს, იურიდიულ მისამართს, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შინამეურნეობისათვის მინიჭებულ კოდს, წარმომადგენლის (რომელმაც განაცხადი შეავსო) სახელ-გვარს, პირად ნომერს, მისამართს, ინსტალაციის ღირებულებას და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადს.

<sup>5</sup> თითოეულ ვაუჩერზე დატანილი იქნება QR კოდი (რომელიც იქნება უნიკალური და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთხელ), რომელიც მომსახურების უზრუნველყოფის შემდეგ სკანირებული უნდა იქნას მომწოდებლის (ინტერნეტ პროვაიდერის) მიერ. GITA-სთან გაფორმებული ხელშეკრულების და BfD პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ, თითოეული მომწოდებელი (ინტერნეტ პროვაიდერი) მიიღებს ბმულს QR კოდების წამკითხველის ჩამოსატვირთად და BfD ვაუჩერზე QR კოდების წასაკითხად.

<sup>6</sup> გადახდები იწარმოებს D დანართის შესაბამისად.

## 1.3 პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

25. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, საქართველოს მთავრობის მიერ, 10 მილიონ ლარამდე იქნა გამოყოფილი. მხარდაჭერა

გულისხმობს: a) საწარმოებში ფართოზოლოვანი ინტერნეტის ინსტალაციას ან მოდერნიზებას (გაუმჯობესებას), b) ცოდნის გადაცემას ბიზნესის ელექტრონულად საწარმოებლად (ელექტრონული კომერციის და ელექტრონული მმართველობის ჩათვლით) c) ელექტრონული კატალოგის და ვებ-გვერდის დამზადებას (დანართი E). GENIE პროექტის დასრულებამდე, მითითებული თანხით, დაგეგმილია 10,000 მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა.

26. BfD პროგრამაში მონაწილე, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი თითოეული საწარმო (თითო ოფიციალურად ნომინირებული წარმომადგენელი თითოეული საწარმოდან) გაივლის ორ ეტაპიან ტრენინგს ელექტრონულ წიგნიერებაში. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, საწარმო მიიღებს ერთჯერად ვაუჩერს ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის უზრუნველსაყოფად (დანართი N). ტრენინგ პროგრამის მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ კი, საწარმო, ელექტრონული კომერციის უნარების განსავითარებლად, მიიღებს ტექნიკურ მხარდაჭერას GITA-სგან ან GITA-ს მიერ დაქირავებული საკონსულტაციო კომპანიისგან.

### **1.3.1 საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის**

27. საქსტატის 2015 წლის მონაცემთა ბაზის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 650,000-ზე მეტი იურიდიული პირი, მაგრამ მათგან მხოლოდ 25%-ია აქტიური, მათი ნახევარი კი ბიზნეს სექტორშია ჩართული (დანართი K).
28. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრეთ საკვალიფიკაციო კრიტერიუმები ინტერნეტ ვაუჩერის მისაღებად, ელექტრონული კომერციის უნარების განსავითარებლად და ელექტრონული წიგნიერების დასაუფლებლად საჭირო ხარჯების გასაღებად მიკრო მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.
29. ინტერნეტ ვაუჩერის და ელექტრონული კომერციის უნარების განსავითარებელი ტექნიკური დახმარების მისაღებად საჭირო საკვალიფიკაციო კრიტერიუმები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: (A) ადგილმდებარეობა; (B) ტრენინგის საფუძველი; (C) ტექნოლოგიური მოთხოვნები;

Nr.	კრიტერიუმი	პირობა	პროგრამა	წყარო
A1	საქართველოს რეგიონში ბიზნესის წარმოება და აქტიური სამეწარმეო სტატუსი	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო, რომელიც მდებარეობს რეგიონში, რეგისტრირებულია როგორც იურიდიული პირი და გააჩნია აქტიური სამეწარმეო სტატუსი	წვდომა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ტრენინგ პროგრამაზე	RS.ge, reestri.gov.ge
B1	ტრენინგ კურსის პირველი ეტაპის გავლა	საწარმოს გავლილი აქვს ტრენინგ კურსის პირველი ეტაპი წარმატებით	წვდომა ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერზე	გასაღები 1 (დანართი F), GITA-ს მიერ ავტორიზებული
C1	საწარმოს შესწევს უნარი გამოიყენოს ინტერნეტი მის მისამართზე	ტიქნიკურად შესაძლებელია ფართოზოლოვანი ინტერნეტის ინსტალაცია საწარმოს მისამართზე. სახეზეა მინიმუმ ერთი მოქმედი ინტერნეტ პროვაიდერი (რეგისტრირებული კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში), რომელსაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა უზრუნველყოს ეს მომსახურება	ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერი	კომუნიკაციების ეროვნული კომისია, BfD პორტალი

B2	ტრენინგ კურსის მეორე ეტაპის გავლა	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს გავლილი აქვს ტრენინგის პირველი და მეორე ეტაპი წარმატებით	წვდომა ელექტრონული კომერციის უნარების განსავითარებელ პროგრამაზე	გასაღები 2 (დანართი F), GITA-ს მიერ ავტორიზებული
----	-----------------------------------	---	---	--

**ცხრილი 1.2**

30. ყველა სოციალური [A1-A2] ტექნიკური [B1] და ტექნოლოგიური [B2] კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საწარმო განისაზღვრება BfD პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვის საწარმოდ. ის საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ სოციალურ [A1], სატრენინგო [B1] და ტექნოლოგიურ [C1] კრიტერიუმებს, დაშვებულნი იქნებიან BfD პროგრამის ფარგლებში ფართოზოლოვანი ინტერნეტ ვაუჩერის მისაღებად. [შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ C1 ტექნოლოგიურ მოთხოვნას, შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი 'ჯგუფური მოთხოვნის პროგრამის' მეშვეობით – იხ. H დანართი.]

**1.3.2 მხარდაჭერის ფორმა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის**

31. BfD პროგრამაში მონაწილე თითოეული საწარმო გაივლის ტრენინგ კურსის პირველ ეტაპს ერთჯერადი ვაუჩერის მისაღებად, რათა ერთი ტრანზაქციით დაფაროს ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ინსტალაცია ან მოახდინოს არსებული ინტერნეტ მომსახურების მოდერნიზაცია (გაუმჯობესება). ხოლო ელექტრონული კომერციის უნარების განვითარებაში დახმარების მისაღებად საწარმო გაივლის ტრენინგ კურსის ორივე ეტაპს (დანართი E).


32. BfD პროგრამის ფარგლებში სარგებლის მიღების პირობას წარმოადგენს თითოეული ბენეფიციარის მიერ ტრენინგის გარკვეული ეტაპების გავლა. GITA -ს მიერ (GENIE პროექტის მეშვეობით) შერჩეული იქნება ტრენინგ პროვაიდერი და კონსულტანტი ელექტრონული კომერციის უნარების განვითარების (ECD) დარგში. კონტენტის შემუშავების ხანგრძლივი ვადის და სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა საწარმოებისა და რეგიონების დაფარვის გამო, არსებული ორგანიზაციების (მაგ. ლოჯისტიკური, ან ელექტრონული კომერციის მწარმოებელი კომპანიები, სამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) მონაწილეობის



პოტენციალიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროცესში, საჭირო იქნება რიგი ტრენინგების ორგანიზება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა ელექტრონული კომერციის უნარების განვითარების მიმართულებით.

### 1.3.3 ინტერნეტზე წვდომა (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის)

33. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ინსტალაციის ხარჯების ანაზღაურება შემდეგი პროცესის შესაბამისად მოხდება:



### შენიშვნა:

34. \*მომწოდებლის (ინტერნეტ სერვის პროვაიდერის) შერჩევის შემდეგ, GITA გასცემს უნიკალურ QR კოდს, რომელიც საწარმოს მიერ მხოლოდ შერჩეული მომწოდებლისაგან დასაშვები მომსახურების შესასყიდად შეიძლება იქნას გამოყენებული.
35. \*\*QR კოდი ძალაშია 1 თვის მანძილზე და მისი გამოყენება მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი. QR კოდის სკანირების შემდეგ, მომწოდებელს შეუძლია შეამოწმოს ჯერ კიდევ ძალაშია თუ არა იგი და რა პირობებში შეიძლება მისი გამოყენება (დასაშვები მომსახურება, სუბსიდიის თანხა, და ა.შ.)
36. \*\*\*ინტერნეტ პროვაიდერსა და საწარმოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: ინტერნეტ პროვაიდერის იურიდიულ სახელწოდებას, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდს, იურიდიულ მისამართს, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს იურიდიულ სახელწოდებას, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდს, მისამართს, ინსტალაციის ღირებულებას და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადს.
37. \*\*\*\*გადახდები იწარმოებს D დანართის შესაბამისად .

### 1.3.4 მხარდაჭერა ელექტრონული კომერციის უნარების განვითარებაში

38. GENIE პროექტის ფარგლებში დაქირავებული კონსულტანტების მეშვეობით, GITA მომსახურებას გაუწევს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს შექმნან საკუთარი ვებ-გვერდები და ელექტრონული კატალოგები ადგილობრივი და საერთაშორისო ელექტრონული კომერციის პლატფორმებისთვის. აღნიშნული მხარდაჭერა ან უშუალოდ GITA-ს მიერ, ან GITA-ს მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი კონსულტანტის მიერ იქნება განხორციელებული.
39. საწარმოებისათვის ელექტრონული კომერციის უნარების განვითარების (ECD) კუთხით გასაწევი მხარდაჭერა ქვემოთმოყვანილი პროცესის შესაბამისად იქნება უზრუნველყოფილი:
  - a. ECD კონსულტანტი საწარმოს დაუკავშირდება GITA-ს მიერ მიწოდებული იმ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ნუსხის საფუძველზე, რომლებმაც ტრენინგ პროგრამა წარმატებით გაიარეს.
  - b. ECD კონსულტანტი საწარმოსათვის უზრუნველყოფს მიზნობრივ, ინდივიდუალიზებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, რათა გააუმჯობესოს მისი უნარები ელექტრონულ კომერციაში.
  - c. ECD კონსულტანტი საწარმოს დაეხმარება ელექტრონული კატალოგის შექმნაში და ადგილობრივ და საერთაშორისო ელექტრონულ

პლატფორმებზე საკუთარი პროდუქტის/მომსახურების სწორ პოზიციონირებაში. აღნიშნული მხარადაჭერის უზრუნველსაყოფად თითოეული საწარმოსათვის გამოყოფილი იქნება 200 ლარი.

- d. ECD კონსულტანტი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს დაეხმარება ონლაინ გაყიდვებისა და გადახდებისათვის სათანადო ვებ-გვერდის შექმნაში. აღნიშნული მხარადაჭერის უზრუნველსაყოფად თითოეული საწარმოსათვის გამოყოფილი იქნება 300 ლარი.

#### 1.4. პროგრამის განხორციელება

40. პროგრამა ორ ფაზად განხორციელდება: საცდელი, ე.წ. საპილოტე ფაზა და სრულმასშტაბიანი ფაზა.

##### 1.4.1 საცდელი (საპილოტე) ფაზა

41. პროექტი საცდელ ეტაპზე, სავარაუდოდ, ქვეყნის ოთხ რეგიონში არსებულ დაახლოებით 5,000 შინამეურნეობას და 1,000 მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს მოიცავს. რეგიონები GITA-ს მიერ იქნება იდენტიფიცირებული და დამტკიცებული. საცდელი ფაზა ასევე ითვალისწინებს ზემოქმედების (გავლენის) შეფასებას საწარმოებისათვის, რომლის ორგანიზებაც GITA-მ GENIE პროექტის მხარადაჭერით უნდა განახორციელოს.

42. საცდელი ფაზის კალენდარული გრაფიკი ქვემოთ არის მოყვანილი:

საქმიანობა	განხორციელების ვადები
პროგრამის და კონტენტის შემუშავება BfD პროგრამისათვის	2017 წლის დეკემბერი – 2018 წლის იანვარი
BfD პორტალის შექმნა პროგრამის ადმინისტრირებისათვის, სულ მცირე სარეგისტრაციო გვერდის ან განაცხადის ფორმის მაინც	2018 წლის იანვარი - 2018 წლის მარტი
ცნობიერების ამაღლების და ტრენინგის საცდელი პროგრამა ოთხ რეგიონში, BfD-ის ფარგლებში	2018 წლის იანვარი - 2018 წლის ივნისი
საწყისი კვლევა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე BfD პროგრამის ზემოქმედების შესაფასებლად	2018 წლის იანვარი - 2018 წლის თებერვალი

დამატებითი ტრენინგ პროვაიდერების დაქირავება GENIE პროექტის ფარგლებში შინამეურნეობების და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პროგრამის მასშტაბის გასაზრდელად	2018 წლის ივნისი
ECD კონსულტანტ(ებ)ის დაქირავება GENIE პროექტის ფარგლებში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პროგრამის მასშტაბის გასაზრდელად	2018 წლის ივლისი
ხელშეკრულებების გაფორმება ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან	2018 წლის მაისამდე
ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება სამთავრობო უწყებებთან	2017 წლის ნოემბრამდე
ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერების გადაცემა შინამეურნეობების და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	2018 წლის ივნისიდან 2018 წლის დეკემბრამდე

### 1.4.2 სრულმასშტაბიანი ფაზა

43. შინამეურნეობებისთვისაც და საწარმოებისთვისაც, შემოთავაზებული პროგრამის მექანიზმი დაეფუძნება პირველი მომსვლელის პირველად მომსახურების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების დაკმაყოფილების პრინციპს და განხორციელდება ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან, ECD კონსულტანტებთან და ტრენინგ პროვაიდერებთან პარტნიორობით.

საქმიანობა	განხორციელების ვადები	განხორციელება
BfD პორტალის შექმნა სრულმასშტაბიანი პროგრამის ადმინისტრირებისათვის	2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივნისი	
პროგრამის და კონტენტის შემუშავება შინამეურნეობების და მიკრო. მცირე და საშუალო საწარმოების პროგრამისათვის, ცნობიერების ამაღლების საცდელ ფაზაზე შეძენილი გამოცდილების საფუძველზე	2018 წლის ივნისი– 2018 წლის დეკემბერი	
ცნობიერების ამაღლების და ტრენინგ პროგრამა ყველა რეგიონში, შინამეურნეობების და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	2019 წლის იანვრიდან 2021 წლის აპრილამდე	
ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერების გადაცემა შინამეურნეობების და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	2019 წლის იანვრიდან 2021 წლის ივნისამდე	

## 2. განაცხადის შეტანის პროცედურა

44. ყველა შინამეურნეობა, საწარმო და დაინტერესებული მხარე, რომელსაც BfD პროგრამით სარგებლობის სურვილი აქვს, უნდა დარეგისტრირდეს GITA-ს მიერ.

45. BfD პროგრამის განხორციელების მიზნით, GITA-ს გამიზნული აქვს BfD პორტალის შექმნა, რომელიც მონაწილე მხარეებს: შინამეურნეობებს, საწარმოებს და ინტერნეტ სერვის პროვაიდერებს შესაძლებლობას მისცემს დარეგისტრირდნენ BfD პროგრამაზე, მიიღონ განახლებული ინფორმაცია, აწარმოონ დოკუმენტაცია, დარეგისტრირდნენ ტრენინგ პროგრამებზე, მიიღონ ვაუჩერები, და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჯგუფური მოთხოვნის პროგრამა (იხ. დანართი H).

46. განაცხადები უმეტესწილად ხელმისაწვდომი იქნება ონ-ლაინ რეჟიმში, BfD პორტალზე. იმ პირებს, ვისაც არ აქვთ წვდომა ინტერნეტზე და კომპიუტერზე, შეუძლიათ ეწვიონ ინოვაციის ცენტრებს, საზოგადოებრივ ცენტრებს და სოფლის ბიბლიოთეკებს და გამოიყენონ ადგილობრივი საშუალებები, მათ შორის კომპიუტერული და ადამიანური რესურსი, რეგისტრაციისათვის.

47. პორტალი წარმოდგენილი იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომი საჯარო ვებ-გვერდის სახით და მასზე წვდომა მობილური ტელეფონითაც (სმარტ ფონი) იქნება შესაძლებელი.

**2.1 განაცხადის ფორმა**

48. პორტალზე წარმოდგენილი იქნება ორი ტიპის მომხმარებელი: ბენეფიციარი (შინამეურნეობები და საწარმოები) და მომწოდებელი (ინტერნეტ სერვის პროვაიდერი). რეგისტრაციის შემდეგ მომხმარებლები შეავსებენ განაცხადის სპეციალურ ფორმას:

ბენეფიციარი	მომწოდებელი
განაცხადის ფორმა შინამეურნეობებისათვის	განაცხადის ფორმა ინტერნეტ სერვის პროვაიდერებისათვის
განაცხადის ფორმა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	

**ცხრილი 1.3**

**2.1.1. განაცხადის ფორმა შინამეურნეობებისათვის**

49. შინამეურნეობებს შეუძლიათ შეავსონ განაცხადის ფორმა ციფრული წიგნიერების ტრენინგის გასავლელად და ინტერნეტ ვაუჩერის მისაღებად.

50. ციფრული წიგნიერების როგორც offline (საკლასო) ისე online (დისტანციური) ტრენინგებზე რეგისტრაცია ღიაა ყველა შინამეურნეობისათვის და მათ გასავლელად საჭირო არ არის არანაირი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. online ტრენინგები განკუთვნილია მათთვის, ვისაც გააჩნია გარკვეული კომპიუტერული უნარები, ხოლო offline ტრენინგი კი განკუთვნილია მათთვის, ვისაც ამ უნარების ათვისება სურს. offline ტრენინგები ჩატარდება მომხმარებლების მოთხოვნის საფუძველზე. BfD პორტალის მეშვეობით მომხმარებელს საშუალება ექნება გაუზიაროს GITA-ს მოთხოვნა offline ტრენინგზე, რის შემდეგაც სისტემა დააგენერირებს მომხმარებლების მოთხოვნებს

თარიღების და მუნიციპალიტეტების მიხედვით და მიაწვდის გაფილტრულ ინფორმაციას კონკრეტულ რეგიონზე პასუხისმგებელ ტრენინგ პროვაიდერს. მინიმალური რაოდენობის აპლიკანტების შეგროვების შემდეგ, ტრენინგ პროვაიდერი დაგეგმავს მოთხოვნილ offline ტრენინგებს კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში და გაუგზავნის მოწვევას აპლიკანტებს მობილური ტელეფონის საშუალებით (დანართი G).

51. ვაუჩერზე რეგისტრაცია ღიაა მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი შინამეურნეობებისათვის (განყოფილება 1.2.1). საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესატყვისობის შესამოწმებლად და ვაუჩერების პროგრამაში ჩასართავად, შინამეურნეობამ GITA-ს მიერ გამოქვეყნებულ ფორმაში უნდა ჩაწეროს თავის წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო კოდი (პირადი ნომერი) და სოციალური დახმარების სააგენტოს მიერ მისთვის მინიჭებული უნიკალური კოდი.

52. შინამეურნეობა პროგრამაზე განაცხადის შეტანას ახორციელებს ქვემოთ მოყვანილი საფეხურების გავლით:

- ადასტურებს რომ გაიარა ტრენინგი ციფრულ წიგნიერებაში (დანართი G).
- ირჩევს სასურველ ინტერნეტ სერვის პროვაიდერს მისი საცხოვრებელი ადგილისთვის ხელმისაწვდომი ინტერნეტ სერვის პროვაიდერებიდან
- ირჩევს შერჩეული ინტერნეტ სერვის პროვაიდერის მიერ შემოთავაზებულ ინტერნეტ პაკეტს
- აგზავნის მოთხოვნას ინტერნეტის ინსტალაციაზე
- იღებს დასტურს შერჩეული ინტერნეტ სერვის პროვაიდერისგან
- იღებს და წარადგენს ინტერნეტ ვაუჩერს

53. იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის საცხოვრებელ ადგილას ხელმისაწვდომი არ არის ინტერნეტ სერვის პროვაიდერის სერვისი, შინამეურნეობას შეუძლია გააგზავნოს ზოგადი მოთხოვნა, ამ მისამართზე ინტერნეტ მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ. ამგვარი ზოგადი მოთხოვნა ავტომატურად გახდება ჯგუფური მოთხოვნის პროგრამის ნაწილი (H დანართი).
54. ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, შინამეურნეობა მიიღებს ვაუჩერს, მასზე დატანილი უნიკალური კოდით.

### 2.1.2 განაცხადის ფორმა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

55. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ შეავსონ განაცხადის ფორმა ელექტრონული წიგნიერების ტრენინგის გასავლელად, ინტერნეტ ვაუჩერის და ECD მხარდაჭერის მისაღებად.
56. ელექტრონული წიგნიერების დასაუფლებელ ტრენინგზე რეგისტრაცია ღიაა ყველა ლეგალური ბიზნესისათვის, რომელიც BfD პროგრამისათვის შემუშავებულ ბენეფიციარების აღწერას შეესატყვისება (იხ. განყოფილება 1.1.1). ტრენინგის გასავლელად, საწარმო უნდა დარეგისტრირდეს ტრენინგ პროგრამაზე, თუ იგი ხელმისაწვდომია, ან სტანდარტული განაცხადის შევსების და წარდგენის მეშვეობით GITA-ს გაუგზავნოს მოთხოვნა მოწვევის მისაღებად, ტრენინგის გამოცხადებისას. განაცხადში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია: კომპანიის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, ძირითადი ბიზნეს საქმიანობა, სამუშაო გამოცდილება, კომპიუტერული უნარები, სასურველი ადგილი ტრენინგების გასავლელად და ინფორმაცია იმ პირის შესახებ, რომელიც დაესწრება ტრენინგებს (სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია).
57. ელექტრონული წიგნიერების ტრენინგი ორ ეტაპად იყოფა (დანართი M), თითოეული ეტაპი კი რამდენიმე საფეხურისგან შედგება. ინტერნეტ ვაუჩერის მისაღებად, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისმა საწარმომ (განყოფილება 1.3.1) უნდა გაიაროს ტრენინგ პროგრამის პირველი ეტაპი. ის, ვინც წარმატებით გაივლის ტრენინგ კურსს, მიენიჭება ელექტრონული გასაღები, ინტერნეტ ვაუჩერის განაცხადზე წვდომის მისაღებად. ECD მხარდაჭერის მისაღებად, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისმა საწარმომ (განყოფილება 1.3.1) წარმატებით უნდა გაიაროს ტრენინგ პროგრამის პირველი და მეორე ეტაპი, რათა მიენიჭოს ელექტრონული გასაღები ამ განაცხადზე წვდომის მისაღებად.
58. განაცხადების შესავსებად, BfD პორტალის მეშვეობით, უნდა გაიაროს RS ავტორიზაცია ვალიდური საიდენტიფიკაციო კოდითა და პაროლით, რომელიც საქართველოს შემოსავლების სამსახურისათვის არის გათვალისწინებული. ზემოხსენებული პროცედურა უზრუნველყოფს



საწარმოს შესატყვისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და მას პროგრამაზე განაცხადის შეტანის საშუალებას მისცემს.

59. ინტერნეტ ვაუჩერის მისაღებას განაცხადის შევსებისას, საწარმო:

- გადის RS ავტორიზაციას
- ადასტურებს, რომ გაიარა მისთვის განსაზღვრული ტრენინგ პროგრამის პირველი ეტაპი (დანართი M).
- ირჩევს ინტერნეტ სერვის პროვაიდერს მისი მდებარეობის ადგილისთვის ხელმისაწვდომი ინტერნეტ პროვაიდერებიდან
- იღებს ინტერნეტ ვაუჩერს
- მიდის ინტერნეტ სერვის პროვაიდერის ოფისში
- წარადგენს ვაუჩერს და იღებს შესაბამის მომსახურებას

60. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მდებარეობის ადგილას ხელმისაწვდომი არ არის ინტერნეტ სერვის პროვაიდერი, საწარმოს შეუძლია გააგზავნოს ზოგადი მოთხოვნა, ინტერნეტ მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ. ამგვარი ზოგადი მოთხოვნა ავტომატურად გახდება ჯგუფური მოთხოვნის პროგრამის ნაწილი (H დანართი).

61. ECD მხარდაჭერის მისაღებად, განაცხადის შევსებისას, საწარმომ უნდა:

- დაადასტუროს, რომ გაიარა მისთვის განსაზღვრული ტრენინგ პროგრამის პირველი და მეორე ეტაპი (დანართი M).
- დაუკავშირდეს ECD კონსულტანტს და მიიღოს შესაბამისი მომსახურება

62. ინტერნეტ ვაუჩერის მისაღებად საჭირო ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, საწარმო მიიღებს ელექტრონულ ვაუჩერს, მასზე დატანილი უნიკალური კოდით.

### 3. პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეები

63. BfD პროგრამაში ჩართულნი იქნებიან: კომერციული (ინტერნეტ სერვის პროვაიდერები, ECD კონსულტანტები, ტრენინგ პროვაიდერები, ელექტრონული პლატფორმები, და ა.შ.), სამთავრობო (სოციალური მომსახურების სააგენტო, შემოსავლების სამსახური, სერვისების განვითარების სააგენტო, ფინანსთა სამინისტროს სერვისების სააგენტო და ა.შ.) და არასამთავრობო ორგანიზაციები. BfD პროგრამის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს რეგულარული შეხვედრები და კონსულტაციები პოტენციურ დაინტერესებულ მხარეებთან.

64. ინტერნეტ სერვის პროვაიდერებს მომწოდებლების სახით შეუძლიათ BfD პროგრამაში მონაწილეობა. დაინტერესებული კომერციული ორგანიზაციები GITA-სთან ხელშეკრულების გაფორმებით და მომწოდებლად დარეგისტრირებით ეთანხმებიან BfD პროგრამის პირობებს (I დანართი).

65. I დანართში აღწერილია მომწოდებლებისათვის (ინტერნეტ სერვის პროვაიდერებისათვის) განსაზღვრული ძირითადი პირობები და კრიტერიუმები.
66. რეგისტრაციის პროცესში, კომერციულმა ორგანიზაციებმა GITA-ს უნდა მიაწოდონ სულ მცირე ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია: a) კომპანიის სახელწოდება, b) საიდენტიფიკაციო კოდი, c) მისამართი, d) საკონტაქტო ინფორმაცია და (e) საბანკო რეკვიზიტები.

### 3.1 ინტერნეტ სერვის პროვაიდერები

67. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოში 160-ზე მეტი ინტერნეტ სერვის პროვაიდერია წარმოდგენილი, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის 47%-სათვის ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად 7 განსხვავებულ ტექნოლოგიას იყენებენ (დანართი J). კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დარეგისტრირებულ ყველა ინტერნეტ სერვის პროვაიდერს აქვს უფლება მომწოდებლის სახით მიიღოს მონაწილეობა BfD პროგრამაში, იმ პირობით, რომ იგი დააკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს (დანართი I).
68. რეგისტრაციის შემდეგ, ინტერნეტ სერვის პროვაიდერმა უნდა მიუთითოს ის ტექნოლოგია, (Optics, xDSL, wi-fi, LTE, CDMA, GSM), რომელსაც იგი იყენებს ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად და ასევე წარადგინოს შეთავაზებები (პაკეტები) შემდგომი მონაცემების მითითებით: a) ინტერნეტის სიჩქარე (ატვირთვა და ჩამოტვირთვა, მეგაბიტი წამში), b) ინსტალაციის ღირებულება, c) ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი და d) დამატებით შეთავაზებული მომსახურება (მაგალითად: Wi-Fi-ის მოწყობილობა, ა.შ.);
69. რეგიონ(ებ)ის, ქალაქ(ებ)ის/სოფლ(ებ)ის მონიშვნით, ინტერნეტ სერვის პროვაიდერმა ასევე უნდა მიუთითოს ის გეოგრაფიული არეალი, სადაც იგი ოპერირებს. ინტერნეტ სერვის პროვაიდერს ასევე მოეთხოვება იმ ტექნოლოგიის მითითება, რომელსაც იგი თითოეული შერჩეული ადგილისათვის გამოიყენებს (ქალაქის/სოფლის დონეზე) ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად. სავარაუდოდ, ინფორმაციის ამგვარი გაცვლები BfD პორტალის მეშვეობით იქნება ავტომატიზირებული.
70. რეგისტრირებულ მომხმარებელს (შინამეურნეობა ან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო), როგორც ეს მითითებულია მე-2-ე განყოფილებაში, შეუძლია შეარჩიოს ინტერნეტ სერვის პროვაიდერი და მიმართოს მას კონკრეტულ ადგილას ინტერნეტის ინსტალაციის მოთხოვნით. ინტერნეტ პროვაიდერი, თავის მხრივ, მოვალეა დაუდასტუროს მომხმარებელს მის მისამართზე (შინამეურნეობა ან საწარმო) ინტერნეტის ინსტალაციის ტექნიკური შესაძლებლობა და დასტურით ან უარით (კონკრეტული ტექნიკური მიზეზების მითითებით) რეაგირება მოახდინოს მის

მოთხოვნაზე. როდესაც ინტერნეტ სერვის პროვაიდერი ადასტურებს მომსახურების გაწევის შესაძლებლობას, იგი პასუხისმგებლობას კისრულობს აღნიშნული მომხმარებლისათვის ამ მომსახურების უზრუნველყოფაზე, იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მის შეთავაზებაში არის მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტ სერვის პროვაიდერი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, იგი შესაძლოა ამოღებული იქნას BfD პროგრამის მომწოდებლების ნუსხიდან, მე-3-ე განყოფილებაში მითითებული პროცედურების შესაბამისად.

71. ინტერნეტ ინსტალაციის დასრულების შემდეგ, ინტერნეტ სერვის პროვაიდერმა უნდა განახორციელოს ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერზე დატანილი QR კოდის სკანირება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, რომლის ერთი ასლიც უნდა გაუგზავნოს GITA-ს. შინამეურნეობის შემთხვევაში აქტი უნდა მოიცავდეს: ინტერნეტ სერვის პროვაიდერის იურიდიულ სახელწოდებას, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდს, იურიდიულ მისამართს, მომხმარებლის სახელს და გვარს, წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო კოდს (პირად ნომერს), სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებულ უნიკალურ კოდს, ვაუჩერის კოდს, მისამართს, ინსტალაციის ღირებულებას, სააბონენტო გადასახადს და ხელმოწერებს. საწარმოს შემთხვევაში, იგი უნდა მოიცავდეს: ინტერნეტ სერვის პროვაიდერის იურიდიულ სახელწოდებას, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდს, იურიდიულ მისამართს, საწარმოს იურიდიულ სახელწოდებას, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდს, ვაუჩერის კოდს, მისამართს, ინსტალაციის ღირებულებას, სააბონენტო გადასახადს და ხელმოწერებს. დოკუმენტები ყოველთვიურად შემოწმდება, დაჯამდება და შესაბამის თანხას GITA, 10% -იანი საშეღავათო პირობით, ინტერნეტ სერვის პროვაიდერს მის საბანკო ანგარიშზე გადაურიცხავს.
72. BfD პროგრამაში ჩართული თითოეული ინტერნეტ სერვის პროვაიდერი GITA-სთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს პროგრამის ბენეფიციარების (შინამეურნეობების და საწარმოების) მიერ მომსახურების არ-გაგრძელების საკითხებს. GITA / საქართველოს მთავრობა პროგრამის ბენეფიციარების წინაშე არ კისრულობს პასუხისმგებლობას ინტერნეტ სერვის პროვაიდერების მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. მხარეებს (ბენეფიციარი, ინტერნეტ სერვის პროვაიდერი) შორის წარმოქმნილი ნებისმერი სახის პრობლემა მათ შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად უნდა გადაიჭრას; მომხმარებელსა და ინტერნეტ სერვის პროვაიდერს შორის წარმოქმნილი დავა შესაძლოა წარდგენილ იქნას კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
73. ვაუჩერის მიერ უზრუნველყოფილი სუბსიდიის თანხა ყოველწლიურად გადაიხედება საბაზრო ტენდენციების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დანახარჯების მართლზომიერება.

#### 4. ცნობიერების ამაღლების კამპანია

74. პროგრამაში მონაწილეობის წასახალისებლად BfD პროგრამა ითვალისწინებს ცნობიერების ამაღლების კამპანიას, რომლის სამიზნე ჯგუფიც, შედარებით ღარიბი და სოციალურად დაუცველი შინამეურნეობები იქნება. BfD პროგრამაზე წვდომის ხელშესაწყობად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ საწარმოების და მეწარმეების ცნობიერების ამაღლებას, რომლებიც საქართველოს რეგიონებში საქმიანობენ.
75. BfD პროგრამის აღნიშნული ქვე-კომპონენტი დააფინანსებს სხვადასხვა მარკეტინგულ ხარჯებს (მაგ. სატელევიზიო, რადიო და საგაზეთო რეკლამას, ქცევის ან მენტალობის ცვლილების ტექნიკას, კარდაკარ ვიზიტებს, რეგიონულ ღონისძიებებს, საჯარო შეხვედრებს, სოციალურ ქსელებს, და ა.შ.), რათა მოხდეს ინტერნეტის სარგებელთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლება და რეგონისა და ქვეყნისათვის ელექტრონული კომერციის მიერ მოტანილი პოტენციური სარგებლის წარმოჩენა.
76. ცნობიერების ამაღლების კამპანია GENIE პროექტის ფარგლებში დაფინანსდება. ცნობიერების ამაღლების კამპანიის მართვას განახორციელებს BfD პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და მისი საქმიანობა კოორდინირებული იქნება BfD პროგრამის კოორდინატორთან და GITA-ს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან. BfD პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მოამზადებს ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების დეტალურ გეგმას. GITA-ს მიერ ამ გეგმის დამტკიცების შემდეგ, ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები ასახვას ჰპოვებს GENIE პროექტის შესყიდვების გეგმაში. BfD პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი პასუხისმგებელი იქნება ყველა ზემოხსენებული საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, BfD-ში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მეშვეობით.
77. BfD პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი საქმიანობები, როგორცაა ტრენინგები, საჯარო შეხვედრები და რეგიონული ღონისძიებები, ჩატარდება ინოვაციის ცენტრებში. ინოვაციის ცენტრები შეასრულებს BfD პროგრამის მთავარი ფიზიკური საინფორმაციო ცენტრის დანიშნულებას. სხვა ღონისძიებების ჩატარების ადგილები კი საზოგადოებრივი ცენტრები და ადგილობრივი ბიბლიოთეკები იქნება. ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, დაინტერესებული მხარეები თავიანთი საინფორმაციო არხების მეშვეობით გაავრცელებენ BfD პროგრამასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ხელს შეუწყობენ

შინამეურნეობებს და საწარმოებს პროგრამაში ჩართვასა და BfD პორტალზე რეგისტრაციაში.

## 5. პროგრამის ადმინისტრირება

### 5.1 ფუნქციები და მოვალეობები

78. BfD პროგრამაში ჩართულ მხარეებს შორის ურთიერთობები ამგვარად რეგულირდება:

- GITA-სა და ხელისუფლების ორგანოებს შორის ურთიერთობები ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე დარეგულირდება;
- ინტერნეტ სერვის პროვაიდერებსა და ბენეფიციარებს შორის (შინამეურნეობები და საწარმოები) ურთიერთობები მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმართება;
- GITA-სა და ECD კონსულტანტებს / ტრენინგების პროვაიდერებს შორის ურთიერთობები მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით იქნება დადგენილი;
- ბენეფიციარებთან (შინამეურნეობები და საწარმოები) ურთიერთობები GITA-ს მიერ განსაზღვრული პირობებით დარეგულირდება.

79. სახელმწიფო ორგანოებთან (ფინანსთა სამინისტროსთან, შემოსავლების სამსახურთან, იუსტიციის სამინისტროსთან, იუსტიციის სახლთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, და ა.შ.) გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები მოიცავს ქვემოთმოყვანილ დებულებებს:

- მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის წესები და ფორმატი;
- გაცვლილი ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრების გამოყენების პირობები;
- ინფორმაციის გავრცელების და ბენეფიციარების ტრენინგის მიზნებისათვის ადგილობრივი ბიბლიოთეკების გამოყენების პირობები.

80. მომწოდებლებთან / პროვაიდერებთან (ECD კონსულტანტები, ინტერნეტ სერვის პროვაიდერები) გაფორმებული ხელშეკრულებები დაარეგულირებს ურთიერთობებს მხარეებსა და პროგრამის ბენეფიციარებს შორის. ასევე, განახორციელებს მხარეების მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, განსაკუთრებული პირობების, გადახდის მეთოდების, დავების გადაჭრის

პროცედურების და ა.შ. მართვას. წინამდებარე სახელმძღვანელო განსაზღვრავს ამ ხელშეკრულებების და ურთიერთგაგების მემორანდუმების მიზნებს.

81. მხარეებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს და ურთიერთგაგებების მემორანდუმებს ხელი უნდა მოეწეროს უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. სახელისუფლებლო ორგანოებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების მოქმედების ვადა მოიცავს პროგრამის დასრულებამდე პერიოდს (GENIE პროექტის ფინანსური სახსრები გამოყენებული უნდა იქნას პროექტის დასრულების თარიღამდე (30.04.2021) გაწეული ხარჯების დასაფარად). მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა უნდა შეადგენდეს 1 წელს და მოიცავდეს BfD პროგრამის დასრულებამდე ვადის ავტომატური გახანგრძლივების მუხლს, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების მოქმედებას მითითებულ ვადაზე ადრე არ შეწყვეტს. BfD პორტალის მართვას განახორციელებს GITA-ს მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც ექნება ურთიერთობა მომწოდებლებთან და პასუხისმგებელი იქნება მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მართლზომიერების კონტროლზე (მიღება-ჩაბარების აქტები და ა.შ.). მომწოდებლებსა და ბენეფიციარებს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, იგი, BfD პროგრამის კოორდინატორთან ერთად, შუამავლის ფუნქციას შეასრულებს.

GITA -ს აქტიური კომუნიკაცია ექნება პროექტის ბენეფიციარებთან, რომლებსაც შესაძლოა რაიმე სახის პროტენზია ჰქონდეთ BfD პროგრამასთან დაკავშირებით. კომუნიკაცია შესაძლებელი იქნება ვებ-პორტალის, ელ-ფოსტის და ტელეფონის საშუალებით. GITA გამოყოფს კონკრეტულ პირს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კორესპონდენციის წარმოებაზე, კომენტარებისა და საჩივრების რეგისტრაციასა და მეთვალყურეობაზე. ბენეფიციარებს ექნებათ საჩივრების წერილობით წარმოდგენის საშუალება, ხოლო GITA მოახდენს მოკვლევას და დროულ რეაგირებას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

## 5.2 პროგრამის მართვა

82. GITA წინამდებარე სახელმძღვანელოს მეშვეობით განსაზღვრავს პროგრამის ბენეფიციარების და პროგრამის პარტნიორების მონაწილეობის პრინციპებს (დანართები C, K), რაც ასევე გულისხმობს საჩივრებზე რეაგირებას და დავების გადაწყვეტას.


83. GITA-ს წარედგინება ყოველთვიური, ყოველკვარტალური და ყოველწლიური ანგარიშები. პარტნიორებისა და მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, ასევე ტრენინგ პროვაიდერების მიერ მოწოდებული ანგარიშების (პრობლემებსა და გადაუჭრელ საკითხებზე) საფუძველზე, GITA აწარმოებს ყოველთვიურ ანგარიშს პროგრამის

ბენეფიციარების შესახებ (იმ შინამეურნეობების და საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც BfD პროგრამით ისარგებლეს). BfD პროგრამის შედეგებთან დაკავშირებულ წლიურ ანგარიშთან ერთად, BfD პროგრამის კოორდინატორის მიერ წარმოდგენილი იქნება ასევე ყოველკვარტალური KPI (შესრულების ძირითადი მაჩვენებელი) ანგარიში.

### 5.3 ფინანსური მართვის პროცესი

84. BfD პროგრამის ფინანსური მართვა განხორციელდება GENIE პროექტის საფუძველზე, მის ფარგლებში განსაზღვრული პროცედურებისა და პროცესების შესაბამისად. დაგეგმილია BfD პროგრამის ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაცია და BfD პორტალის შექმნის შემდეგ, ეს პროცესი აღნიშნული ვებ-გვერდის მეშვეობით განხორციელდება. ელექტრონული კომერციის კუთხით ტრენინგის კომპონენტი GITA-ს მიერ, GENIE პროექტის ფარგლებში, იქნება შესყიდული. გადახდები მომწოდებლებისათვის განხორციელდება ყოველთვიურად, პროექტის ფინანსური მართვის სპეციალისტის მიერ, უშუალოდ პროექტის ფინანსური სახსრებით, ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტების და ინვოისების საფუძველზე (დანართი D).
85. თაღლითობის თავიდან ასაცილებლად, GITA მოითხოვს სარგებლის ან გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, იმ შემთხვევაში თუ თანხა უზრუნველყოფილია, მაგრამ მომსახურება გაწეული არ არის. იმისათვის, რომ თანხის მართლზომიერად ხარჯვა იყოს გარანტირებული, GITA დაიქირავებს (GENIE პროექტის ფარგლებში) აუდიტის და მონიტორინგის სპეციალისტს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება BfD პროგრამის ბენეფიციარების მისამართებზე, ყოველკვარტალურად, საკუთარი წარმომადგენლ(ებ)ის გაგზავნაზე (ბენეფიციარების 3%-თან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით) და იმის შემოწმებაზე, რეალურად იქნა თუ არა მიწოდებული ესა-თუ ის მომსახურება. გარდა ვაუჩერის იმ თანხისა, რომელიც თითოეული შემთხვევისათვის არის განსაზღვრული, GITA / საქართველოს მთავრობა, არანაირ ფინანსურ ვალდებულებას არ კისრულობს არც-ერთ მხარესთან მიმართებაში.

## 5.4 ორგანიზაციული სტრუქტურა





## **დანართი A: ფართოზოლოვანი ინტერნეტის განსაზღვრება**

BfD პროგრამის მიზნებისათვის, ფართოზოლოვანი ინტერნეტი განისაზღვრება მინიმუმ 2 (ორი) მეგაბიტ წამი სიჩქარით, როგორც ჩამოტვირთვის, ისე ატვირთვისთვის. მისი კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების მეშვეობით. შექმნისთანავე, BfD პორტალზე იქნება სპეციალური განყოფილება მომხმარებლისათვის, რომელიც მას ფართოზოლოვანი ინტერნეტის სიჩქარის გამოცდაში (პოტენციურად, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან თანამშრომლობით) და რაიმე სახის პრობლემის არსებობის შემთხვევაში - მომწოდებელთან კონტაქტის დამყარებაში დაეხმარება. იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტ სერვის პროვაიდერი ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ან მისი მხრიდან ადგილი ექნება თაღლითობას, იგი დისკვალიფიცირებული იქნება BfD პროგრამიდან სამუდამოდ ან გარკვეული პერიოდით, სულ მცირე ერთი თვის ვადით.

**დანართი B: სოციალური მომსახურების პროგრამაში რეგისტრირებული ოჯახები**

ცხრილი მიუთითებს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული ქულების მიხედვით დაჯგუფებული შინამეურნეოების რაოდენობას და მათ საშუალო შემოსავალს (SSA, 2016):

რეგიონი	<65ათ. ქულიანი მოსახლეობა	ყოველთვიური საშუალო შემოსავალი, სოციალური დახმარების ჩათვლით	65ათ.-100ათ. ქულიანი მოსახლეობა	ყოველთვიური საშუალო შემოსავალი	100ათ.-200ათ. ქულიანი მოსახლეობა	ყოველთვიური საშუალო შემოსავალი
გურია	5,008	433 ლ	5,962	199 ლ	8,133	300 ლ
რაჭა-ლეჩხუმი	6,200	365 ლ	2,074	219 ლ	1,494	421 ლ
კახეთი	17,134	412 ლ	9,038	227 ლ	11,478	309 ლ
იმერეთი	23,097	418 ლ	15,807	228 ლ	30,407	289 ლ
მცხეთა-თიანეთი	6,448	397 ლ	3,153	254 ლ	3,138	363 ლ
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15,186	434 ლ	10,769	197 ლ	17,919	256 ლ
სამცხე-ჯავახეთი	3,091	413 ლ	5,004	190 ლ	9,632	267 ლ
ქვემო ქართლი	11,668	416 ლ	8,902	213 ლ	12,539	311 ლ
შიდა ქართლი	16,348	447 ლ	7,624	261 ლ	8,986	363 ლ
აჭარა	7,753	410 ლ	7,557	268 ლ	19,695	416 ლ
აფხაზეთი & სამაჩაბლო	35	136 ლ	3	326 ლ	1	393 ლ
სულ	111,968	419 ლ	75,893	225 ლ	123,422	316 ლ

## **დანართი C: შინამეურნეობების და საწარმოების რეგისტრაციის პირობები**

იმ შინამეურნეობებმა და საწარმოებმა, რომლებსაც სურვილი აქვთ გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, რეგისტრაციის პროცესში უნდა განაცხადონ თანხმობა BfD პროგრამის წესებზე და პირობებზე. ამ პირობებით გათვალისწინებულია კეთილსინდისიერების, ეთიკის და კონფიდენციალობის წესების დაცვა. BfD პროგრამაში ჩართვის მსურველმა შინამეურნეობებმა და საწარმოებმა ელექტრონულად უნდა გამოხატონ თანხმობა იმის თაობაზე, რომ მათი ვინაობის შესამოწმებლად და ვაუჩერის პროგრამის განაცხადზე წვდომის მისანიჭებლად, GITA-ს უფლება აქვს სოციალური მომსახურების სააგენტოსგან და ფინანსთა სამინისტროსგან გამოითხოვოს მათთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია.

ვაუჩერის მიმღებ პროგრამის ბენეფიციარებს ექნებათ შეზღუდული დრო (1 თვე) თავიანთი ვაუჩერის გამოსაყენებლად. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, ისინი ვერ შეძლებენ მის გამოყენებას ან იგივე პროგრამაზე კიდევ ერთხელ დარეგისტრირებას.

## დანართი D: გადახდის პროცესი

თვის დასასრულს, GITA-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი შეამოწმებს მომწოდებლების (ინტერნეტ სერვის პროვაიდერების) მიერ გამოგზავნილ მიღება-ჩაბარების აქტებს და შეადარებს მათ ყოველთვიურ ინვოისებს. საბოლოო ინვოისი, BfD პორტალის მეშვეობით, გენერირდება GITA-ს მიერ, მოსალოდნელი ბენეფიციარების რაოდენობის გათვალისწინებით, BfD ვაუჩერიდან სკანირებული QR კოდების შესაბამისად.

GITA მომწოდებლისათვის თანხის გადარიცხვას ყოველთვიური ინვოისის საფუძველზე განახორციელებს. ანაზღაურების მისაღებად, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ინვოისი (რომლის შედგენა შესაძლებელია BfD პორტალის მეშვეობით), ხელი მოაწეროს მას და გაუგზავნოს GITA-ს მიღება-ჩაბარების აქტებთან ერთად (არაუგვიანეს ყოველი თვის 5 რიცხვისა), ხოლო GITA წინა თვის ინვოისის საფუძველზე განახორციელებს გადახდას (არაუგვიანეს ყოველი თვის 15 რიცხვისა).

## დანართი E: ECD-ის ფარგლებში გასაწევი მომსახურება

ECD კონსულტანტის მომსახურება, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი საწარმოს მიერ, ქვემოთმოყვანილი დანიშნულებით შეიძლება იქნას გამოყენებული:

- ყველა აპარატიდან ხელმისაწვდომი და ყველა აპარატზე (პერსონალური კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, პლანშეტური კომპიუტერი) მორგებული ელექტრონული კომერციის ინდივიდუალური ვებ-გვერდის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც საწარმო გაყიდის თავის პროდუქტს/მომსახურებას და მიიღებს ანაზღაურებას ელექტრონულად;
- ინდივიდუალური დახმარების მიღება შესაბამის ელექტრონულ პლატფორმებში გასაწევრიანებლად (amazon, ebay, booking, aribnb, tripadvisor, და ა.შ.), სადაც საწარმოს შეუძლია თავის თავისი პროდუქტის და მომსახურების განთავსება.

GITA აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმებთან და სამსახურებთან შესაბამისი საწარმოებისათვის ელექტრონული მაღაზიების ვებ-გვერდების ან კატალოგების შედგენის მომსახურების ხელშეკრულებების პირობებზე.

## დანართი F: ვაუჩერის გასაღები

ტრენინგ კურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ, საწარმო ელ-ფოსტის მეშვეობით მიიღებს აქტივაციის კოდს, რომელიც ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ვაუჩერზე განაცხადის შესატან პირველ ელექტრონულ გასაღებს წარმოადგენს. ტრენინგ კურსის მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ, საწარმო ელ-ფოსტის მეშვეობით მიიღებს კიდევ ერთ აქტივაციის კოდს, რომელიც წარმოადგენს საწარმოს მიერ ECD-ზე განაცხადის შესატან მეორე ელექტრონულ გასაღებს. ელექტრონულ გასაღებებს GITA დააგენერირებს (მათ შორის BfD პორტალის მეშვეობითაც) და მათი გამოყენების დრო შეზღუდული იქნება (3 თვე). ვაუჩერზე განაცხადის შესატანად, საწარმომ პირველ რიგში უნდა დაადასტუროს თავის შესატყვისობა BfD პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და შემდგომ სათანადო მხარეს წარუდგინოს აქტივაციის კოდი (ელექტრონული გასაღები).

## დანართი G: ტრენინგები ციფრული წიგნიერების დასაუფლებლად

BfD ვაუჩერზე წვდომის მოსაპოვებლად, შინამეურნეობამ უნდა გაიაროს ტრენინგი ციფრული წიგნიერებაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დისტანციურად სხვადასხვა ენებზე, როგორცაა: ქართული, აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული და სომხური. ყველა შინამეურნეობა, ვინც გაივლის დისტანციური ტრენინგ კურსს, მიიღებს ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს და მოიპოვებს წვდომას BfD ვაუჩერზე. ის, ვინც ინტერნეტისა და კომპიუტერის არასათანადოდ ფლობის გამო ვერ გაივლის დისტანციურ ტრენინგს, შესაძლებლობა ექნება შეიტანოს განაცხადი offline (საკლასო) ტრენინგზე. განაცხადის შეტანა გულისხმობს მოთხოვნის გაგზავნას ციფრული წიგნიერების კურსის გასავლელად. განაცხადის შეტანის პროცესში, მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს ტრენინგის ადგილი და ენა. მოთხოვნები, მუნიციპალიტეტების მიხედვით, ყოველთვიურად დაჯამდება GITA-ს მიერ, რომელიც განახორციელებს მათთვის ტრენინგების ორგანიზებას. ტრენინგის ორგანიზებისათვის, ერთ ჯგუფში უნდა შედიოდეს შინამეურნეობების მინიმალური რაოდენობა (რომელიც დაგენერირდება სისტემის მიერ). offline (საკლასო) ტრენინგები წარმოადგენს ერთდღიან ტრენინგებს, მინიმუმ 3-საათიანი ხანგრძლივობით (პროგრამის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, ხანგრძლივობა შესაძლოა შეიცვალოს წელიწადში ერთხელ, წინა წლის გამოცდილების საფუძველზე). საკლასო ტრენინგების მიზანს წარმოადგენს შინამეურნეობისათვის საკმარისი საფუძვლის შექმნა ტრენინგების დისტანციურად გასაგრძელებლად. ამრიგად, offline (საკლასო) ტრენინგების დასრულების შემდეგ, შინამეურნეობებმა ასევე უნდა გაიარონ online (დისტანციური) ტრენინგები. იმ შინამეურნეობებს, რომელთაც არ გააჩნიათ ინტერნეტზე ან კომპიუტერზე წვდომა, დისტანციური ტრენინგის გასავლელად შეუძლიათ გამოიყენონ ინოვაციის ცენტრები, საზოგადოებრივი ცენტრები და სოფლის ბიბლიოთეკები.

## დანართი H: ჯგუფური მოთხოვნის პროგრამა

ჯგუფური მოთხოვნის პროგრამა ითვალისწინებს GITA-ს მიერ იმ შინამეურნეობებიდან და საწარმოებიდან შემოსული მოთხოვნების შეგროვებას, რომელთა რაიონებსაც/სოფლებსაც BfD პროგრამაში მონაწილე ერთი ინტერნეტ სერვის პროვაიდერიც კი არ ემსახურება. მსოფლიო ბანკის წინასწარი ოფიციალური თანხმობით, ადგილობრივი თემების კონკრეტული ინტერესების გასათვალისწინებით ან საზოგადოებისათვის ცნობილი ჯგუფების, ორგანიზაციების და დაწესებულებების რჩევით (მაგ. როგორცაა საზოგადოებრივი ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მმართველობები, ინტერნეტ სერვის პროვაიდერები, უნივერსიტეტები, ან ბიზნეს ასოციაციები) GITA შეეცდება 'დაფარვის არმქონე' რაიონებში მიიზიდოს ინტერნეტ სერვის პროვაიდერები და მოახდინოს კონკრეტულ რაიონებში მცხოვრები შინამეურნეობების და საწარმოების მობილიზება ციფრულ ეკონომიკაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ამგვარ რაიონებში არსებულ საწარმოებსა და შინამეურნეობებს შეუძლიათ GITA-ს გაუგზავნონ მოთხოვნები და განაცხადები (მათ შორის BfD პორტალის მეშვეობით). ამ სტრუქტურის ფარგლებში მხარდაჭერილ შინამეურნეობებსა და საწარმოებსაც მოეთხოვება ყველა მოთხოვნის და საკვალიფიკაციო კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

GITA-ს მიერ რეგისტრირებული ინტერნეტ სერვის პროვაიდერები ელ-ფოსტით (და BfD პორტალის მეშვეობით) მიიღებენ შეტყობინებას იმის თაობაზე, თუ სად და რამდენ შინამეურნეობას და საწარმოს აქვს სურვილი ჰქონდეს ინტერნეტ კავშირი. ადგილმდებარეობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტების რაიონების და ქალაქების/სოფლების მიხედვით. ჯგუფური მოთხოვნის პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს BfD პროგრამის მთლიანი დაგეგმილი ხარჯების 5 პროცენტს.



## დანართი I: ინტერნეტ სერვის პროვაიდერებისათვის განსაზღვრული პირობები და კრიტერიუმები

რეგისტრაციის პროცესში, BfD პროგრამაში ჩართვის მსურველი ინტერნეტ სერვის პროვაიდერი უნდა დაეთანხმოს პროგრამით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ითვალისწინებს კეთილსინდისიერების, ეთიკის და კონფიდენციალობის წესების დაცვას. BfD პროგრამაში ჩართვის მსურველმა მომწოდებელმა (ინტერნეტ პროვაიერებმა) ელექტრონულად უნდა გამოხატონ თანხმობა იმის თაობაზე, რომ კანონთან მიმართებაში და საგადასახადო ინსპექციასთან პრობლემების არსებობის კუთხით მათ შესამოწმებლად, GITA-ს უფლება აქვს შემოსავლების სამსახურისგან და ფინანსთა სამინისტროსგან გამოითხოვოს მათთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. ფინანსური მდგომარეობის შესახებ უახლესი ინფორმაციის მოსაპოვებლად, შესაძლოა მომწოდებლებს მოეთხოვოთ RS ავტორიზაცია. მხოლოდ აქტიური სამეწარმეო სტატუსის მქონე მომწოდებლებს (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ) მიენიჭებათ BfD-ის ოპერაციებში მონაწილეობის უფლება (CPC, ტენდერები, და ა.შ.).

ინტერნეტ სერვის პროვაიდერს, რომელიც პროგრამის ბენეფიციარისაგან მიიღებს მოთხოვნას, ექნება შეზღუდული დრო: 1 სამუშაო დღე დადასტურებისათვის და 10 სამუშაო დღე ბენეფიციარის მისამართზე მომსახურების უზრუნველსაყოფად. პასუხის არ-გაცემის/მომსახურების მიუწოდებლობის შემთხვევაში, სისტემა გააუქმებს მოთხოვნას (ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება თავიდან გააგზავნოს მოთხოვნა იგივე ან სხვა ინტერნეტ სერვის პროვაიდერთან), ხოლო მომწოდებელს ჩამოაკლებს ქულებს (თითოეული მომწოდებელი რეგისტრაციის შემდეგ იღებს 100 ქულას, რომლის შემცირებაც ხდება წესების დარღვევის შემთხვევაში: მინუს 1 ქულა - პასუხ გაუცემლობისათვის, მინუს 10 ქულა - პროდუქტის/მომსახურების არ-მიწოდებისათვის. თუ ქულების რაოდენობა 50-მდე შემცირდება, მომწოდებელს 1 თვით აკრძალება ახალი მოთხოვნების მიღება პროგრამის ბენეფიციარებისაგან; თუმცა, იგი ვალდებული იქნება დაასრულოს წინა შეკვეთები). ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შესაძლებლობის დადასტურების შემდეგ, ინტერნეტ სერვის პროვაიდერმა დადასტურებული მომსახურება 10 სამუშაო დღის მანძილზე უნდა უზრუნველყოს (შესაძლოა დაშვებული იქნას გარკვეული გამონაკლისები კლიმატიდან და რელიეფიდან გამომდინარე), შემდეგ გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი ბენეფიციართან და მისი ერთი ბეჭდური ასლი გაუგზავნოს GITA-ს. მომწოდებელმა ასევე უნდა შეავსოს და GITA-ს წარუდგინოს ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტების

ერთიანი ფორმა (რომელიც შეიძლება ასევე წარმოდგენილ იქნას BfD პორტალის მეშვეობით).

BfD პროგრამაში ჩართვის მსურველი ინტერნეტ სერვის პროვაიდერები განსაკუთრებულ პირობებს უნდა სთავაზობდნენ პროგრამის ბენეფიციარებს: ინტერნეტ სერვის პროვაიდერმა ბენეფიციარს ინტერნეტ ინსტალაციის პაკეტი მინიმუმ 10%-იანი საშელავათო პირობით უნდა შესთავაზოს, რაც იმას გულისხმობს, რომ GITA, ყოველი თვის ბოლოს (ყოველთვიური ინვოისის და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე), ინტერნეტ სერვის პროვაიდერს ჩაურიცხავს მთლიანი თანხის 90%-ს (შინამეურნეობებისა და საწარმოებისათვის მიწოდებული მომსახურების ჩათვლით).


ქვემოთ მოყვანილია BfD პროგრამაში ჩართვის მსურველი ინტერნეტ სერვის პროვაიდერებისათვის განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმები:

#.	მომწოდებელი	კრიტერიუმი	პირობა	წყარო
A1	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	უნდა იყოს იურიდიული პირი	მომწოდებელი რეგისტრირებული უნდა იყოს იურიდიული პირის სახით	შემოსავლების სამსახური
B1	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	უნდა იყოს აქტიური ბიზნესი	მომწოდებელს უნდა ჰქონდეს აქტიური სამეწარმეო სტატუსი	შემოსავლების სამსახური
C1	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	არ უნდა ჰქონდეს ფინანსური პრობლემები	მომწოდებელი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში	შემოსავლების სამსახური
D1	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	ბიზნესს საქართველოს რეგიონში უნდა აწარმოებდეს	მომწოდებელს რეგიონში უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი ფილიალი მაინც	შემოსავლების სამსახური


E1	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	რეგისტრირებული უნდა იყოს GITA-ს მიერ	მომწოდებელი უნდა დარეგისტრირდეს BfD პორტალზე და ატვირთოს ყველა საჭირო ინფორმაცია	GITA
	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ	მომწოდებელი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უნდა დარეგისტრირდეს <a href="http://registry.gncc.ge/">http://registry.gncc.ge/</a> მეშვეობით	GNCC
F1	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	განსაზღვრული უნდა ჰქონდეს სპეციალური შეღავათები	მომწოდებელმა სპეციალური შეღავათები / ბონუსები უნდა შესთავაზოს პროგრამის ბენეფიციარებს	კონტრაქტი, მიღება-ჩაბარების დოკუმენტი
A3	ინტერნეტ სერვის პროვაიდერი	უნდა უზრუნველყოფდეს მინიმუმ 2 მბ/წმ სიჩქარეს	მომწოდებელმა ბენეფიციარებისათვის უნდა უზრუნველყოს მინიმუმ 2 მეგაბიტი წამში (ატვირთვის და ჩამოტვირთვის) სიჩქარის ინტერნეტის მიწოდება	ხელშეკრულებ ა, მიღება-ჩაბარების აქტი

## დანართი J: ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან დაკავშირებული სტატისტიკა


საქართველოში ფართოზოლოვანი ინტერნეტისთვის ყველაზე პოპულარულ ტექნოლოგიას წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი (47%-დან 26%), მას მოსდევს xDSL - 13%-ით, wifi-ს 6%-იანი წილი აქვს ბაზარზე, ხოლო სხვა ტექნოლოგიები, როგორცაა LTE ან CDMA ინტერნეტ მომხმარებლის მხოლოდ 2% - ს ფარავს.



საქართველოში ყველაზე დიდი დაფარვის ადგილებს თბილისი, ბათუმი, რუსთავი და ქუთაისი წარმოადგენს. თბილისში 313,576 შინამეურნეობა და 50-ზე მეტი ინტერნეტ სერვის პროვაიდერია რეგისტრირებული (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის სექტემბრის მონაცემები). შინამეურნეობების 94%-დან 70% ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებს, 22% – xDSL-ს და მომხმარებლების მხოლოდ 2% იყენებს სხვა ტექნოლოგიებს, როგორცაა wifi, LTE, და ა.შ.



ბოჭკოვანი ტექნოლოგია რეგიონებშიც ძალზედ პოპულარულია, მაგრამ თბილისთან შედარებით, ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა იქ ძალიან მცირეა - 28%.



ბოჭკოვან ინტერნეტს შინამეურნეობების 11% იყენებს, xDSL-ს – 9% ხოლო wifi-ს – 7%. ყველა სხვა ტექნოლოგიას (LTE, CDMA, Canopy) საქართველოს რეგიონული ინტერნეტ ბაზრის მხოლოდ 1% უჭირავს.

## დანართი K: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებთან დაკავშირებული სტატისტიკა

საქსტატისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ყოველწლიურად ჩატარებული აქტიური ბიზნესის კვლევის 2015 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოში ბიზნეს საქმიანობას 43,316 აქტიური მეწარმე ეწევა და მათგან მხოლოდ 20% სარგებლობს ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებით. ზემოთმოყვანილი ციფრები კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ მითითებულ ოფიციალურ მონაცემებს წარმოადგენს, მაგრამ არსებობს მრავალი მიკრო და მცირე საწარმო, რომელიც ინტერნეტს ფიზიკური პირის სახით იყენებს, უფრო დაბალი საბონენტო გადასახადის გამო. კომპანიების უმეტესობა ადასტურებს, რომ მათ გააჩნიათ ინტერნეტზე წვდომა. მათგან თითქმის ნახევარს საკუთარი ვებგვერდი აქვს, ხოლო ოთხიდან სამი 'ელ-ფოსტას იყენებს მომხმარებლებთან/მომწოდებლებთან საურთიერთოდ'. ელექტრონული კომერციის მაჩვენებელი მხოლოდ 9.5% შეადგენს (საქსტატი, 2015). თუმცა, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია თბილისის გარეთ მდებარე საწარმოებისათვის, რაც ციფრულ უთანასწორობაზე მიუთითებს. ზემოხსენებულის შედეგს წარმოადგენს ექსპორტის შედარებით დაბალი დონე. გამოკვლეული ფირმების მხოლოდ 7.4% აწარმოებს პირდაპირ ან არაპირდაპირ ექსპორტს (გაყიდვების მინიმუმ 1%), რაც ECA-ს ქვეყნების საშუალო მონაცემზე გაცილებით დაბალია (19.4%). კომპანიების დაყოფა მათი სტატუსის მიხედვით, შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- ❖ მსხვილი მეწარმე –1,500,000 ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე
- ❖ საშუალო მეწარმე –500,000 – 1,500,000 ლარის ფარგლებში წლიური შემოსავლის მქონე
- ❖ მცირე მეწარმე –500,000 ლარზე ნაკლები წლიური შემოსავლის მქონე

არსებობს მრავალი მეწარმე (15%), რომელთა ბიზნეს საქმიანობაც ზუსტად არ არის განსაზღვრული. საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების ნახევარზე მეტი (51%) საბითუმო-საცალო ვაჭრობას აწარმოებს. შემდეგი დიდი მაჩვენებელი წარმოებაზე მოდის (8%), რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ჩვენ ვცდილობთ ელექტრონული კომერციის აქტივობების გაფართოებას საქართველოში. ტრანსპორტს და კომუნიკაციებს 6% უჭირავს. სასტუმროების, რესტორნების, სილამაზის სალონების და ტურისტული სააგენტოების, და ასევე სამშენებლო ბიზნესის წილი - 5%-ს შეადგენს. სოციალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმიანობებს (საკონსულტაციო, სარეკლამო, კომპიუტერული მომსახურება, დიზაინი, და ა.შ.), როგორცაა გაქირავება და უძრავი ქონება 3%-ზე მეტი არ აწარმოებს. აქტიური რეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმოების

გადანაწილება სხვა სფეროებში 4%-ს არ აღემატება. მეტიც, ზოგიერთ სფეროებში, როგორცაა განათლება, სპორტი, კულტურა, იგი 1%-ზე ნაკლებს შეადგენს.

### დანართი L: ინტერნეტი

საქსტატის მიერ ყოველწლიურად ჩატარებული შინამეურნეობების კომპლექსური კვლევის 2016 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს შინამეურნეობების თითქმის 71%-ს აქვს ინტერნეტზე წვდომა:

საქართველო	თბილისი	სოფელი	სხვა ურბანული
70.7 %	84.3 %	57.4%	79.7 %

როგორც ჩანს, სასოფლო შინამეურნეობების 57%-ზე მეტს აქვს ინტერნეტზე წვდომა, მაგრამ მათგან ყველა არ სარგებლობს ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის სტატისტიკის თანახმად, საქართველოს რეგიონებში შინამეურნეობების მხოლოდ 28%-ს გააჩნია ფართოზოლოვანი ინტერნეტზე წვდომა.

ქვემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება ეს მონაცემები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებზე:

რეგიონი	შინამეურნეობა	მომხმარებელი	დაფარვა
შიდა ქართლი	90,775	27,867	31%
ქვემო ქართლი	139,445	48,567	35%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	131,440	29,061	22%
იმერეთი	198,591	57,390	29%
რაჭა-ლეჩხუმი	14,481	601	4%
აჭარა	106,727	44,009	41%
მცხეთა-თიანეთი	30,463	7,725	25%
გურია	40,623	6,687	16%
კახეთი	115,644	26,966	23%
სამცხე-ჯავახეთი	58,895	14,940	25%
ცხინვალი			
აფხაზეთი	8,873	0	0%
<b>სულ</b>	<b>935,957</b>	<b>263,813</b>	<b>28%</b>

ინტერნეტზე წვდომის თვალსაზრისით, აჭარა და ქვემო ქართლი უკეთეს მდგომარეობაში არიან სხვა რეგიონებთან შედარებით, მაგრამ დაფარვის უმეტესი წილი ორ დიდ ქალაქზე მოდის: ბათუმი (93%) და რუსთავი (89%). ასევე, დიდი დაფარვის მქონე ქალაქებია: ფოთი (66%), ქუთაისი (59%) და თელავი (43%), მაგრამ



მათი მონაცემები დიდ გავლენას არ ახდენს ამ რეგიონების საერთო სურათზე, რადგანაც სხვა რაიონებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა საკმაოდ დაბალია.

საქართველოს რეგიონების (თბილისის გამოკლებით) საერთო მიახლოებითი სურათი ამგვარად გამოიყურება:

- ✓ 936,000 რეგისტრირებული შინამეურნეობა (საქსტატი, 2016)
- ✓ 608,400 ინტერნეტ მომხმარებელი (საქსტატი, 2016)
- ✓ 262,100 ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომხმარებელი (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2016)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ასევე გვაწვდის კომპანიების დაფარვის მაჩვენებელს:

1 საქართველოს რეგიონები	კომპანია	მომხმარებელი	ინტერნეტის დაფარვის მაჩვენებელი
შიდა ქართლი	3,698	570	15%
ქვემო ქართლი	5,752	985	17%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5,648	1,278	23%
იმერეთი	9,987	2,184	22%
რაჭა-ლეჩხუმი	467	90	19%
აჭარა	8,160	2,226	27%
მცხეთა-თიანეთი	1,256	167	13%
გურია	1,609	237	15%
კახეთი	4,796	595	12%
სამცხე-ჯავახეთი	1,916	396	21%
ცხინვალი	0	0	0%
აფხაზეთი	27	1	4%
<b>სულ</b>	<b>43,316</b>	<b>8,729</b>	<b>20%</b>

თუმცა, ეს რაოდენობა ყველა კომპანიას მოიცავს. უცნობია დაფარვის მაჩვენებელი მიკრო მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რადგანაც იგი არ არის მიბმული კომპანიის სტატუსზე, მაგრამ რადგანაც ჩვენთვის ცნობილია მთლიანი რაოდენობა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თითქმის ყველა მსხვილ მეწარმეს (მინ. 90%) აქვს ინტერნეტზე წვდომა. ამრიგად, 8,729 აბონენტიდან 1,326 ინტერნეტ მომხმარებელი მსხვილ მეწარმეს წარმოადგენს.

## დანართი M: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ტრენინგი

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ტრენინგების სტრუქტურა ქვემოთ არის მოყვანილი. ამ ერთიანი სტრუქტურის კორექტირება განხორციელდება საწარმოების მზაობის, ასევე რეგიონის და ტრენინგ პროგრამებით დაფარული საწარმოების სპეციფიკის საფუძველზე.

1 - ლი სტადია	მე-2-ე სტადია
1. ციფრული წიგნიერება (კომპიუტერის შესწავლა)	6. ელექტრონული კომერცია - ადგილობრივი პლატფორმები
2. ციფრული წიგნიერება - ინტერნეტი, ელ-ფოსტა	7. ელექტრონული კომერცია - გლობალური პლატფორმები
3. ელექტრონული ბიზნესი - Drive, Google My Business	8. ელექტრონული კომერცია - ადგილობრივი და გლობალური პლატფორმები
4. ელექტრონული ბიზნესი - სოციალური ქსელი, რეკლამა	9. ელექტრონული მმართველობა- სამთავრობო უწყებები
5. ელექტრონული ბიზნესი - კონტენტის მართვა, CRM	10. ელექტრონული მმართველობა- ონლაინ ტენდერები
პრეზენტაციები	პრეზენტაციები
ხდება ინტერნეტ ვაუჩერის (გასაღები 1) გაცემა	ხდება ECD მხარდაჭერის (გასაღები 2) გაცემა

## დანართი N: სუბსიდიები

### შინამეურნეობებისათვის

სუბსიდიის და ვაუჩერის დანიშნულება	სუბსიდიის მაქსიმალური თანხა თითოეულ შინამეურნეობაზე	სუბსიდიის მიმღები შინამეურნეობების რაოდენობა	შინამეურნეობებზე დახარჯული სუბსიდიის მთლიანი თანხა
ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის სუბსიდირების პროგრამა (ინტერნეტ ვაუჩერი)	150 ლარი	60,000	9,000,000 ლარი

სუბსიდიის და ვაუჩერის დანიშნულება	სუბსიდიის მაქსიმალური თანხა ყველა შინამეურნეობისათვის	სუბსიდიის მიმღები შინამეურნეობების რაოდენობა	შინამეურნეობებზე დახარჯული სუბსიდიის მთლიანი თანხა
ტრენინგზე წვდომის სუბსიდირების პროგრამა	1,000,000 ლარი	60,000 +	1,000,000 ლარი

### საწარმოებისათვის

სუბსიდიის და ვაუჩერის დანიშნულება	სუბსიდიის მაქსიმალური თანხა საწარმოზე	სუბსიდიის მიმღები საწარმოების რაოდენობა	საწარმოებზე დახარჯული სუბსიდიის მთლიანი თანხა
ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის სუბსიდირების პროგრამა (ინტერნეტ ვაუჩერი)	200 ლარი	10,000	2,000,000 ლარი

სუბსიდიის და ვაუჩერის დანიშნულება	სუბსიდიის მაქსიმალური თანხა ყველა საწარმოსათვის	სუბსიდიის მიმღები საწარმოების რაოდენობა	საწარმოებზე დახარჯული სუბსიდიის მთლიანი თანხა
ტრენინგზე წვდომის სუბსიდირების პროგრამა	3,000,000 ლარი	10,000 +	3,000,000 ლარი